საკონკურსო განცხადება

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 102 მუხლის მე-2 პუნქტისა და 24 - ე მუხლის მე-10 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" შესახებ - შესაბამისად.

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტი (მისამართი- ქ. წალენჯიხა, სალიას ქ #5) აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება:

I. ქ. წალენჯიხის ცენტრში მდებარე ტერენტი გრანელის სახელობის პარკის კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია

1. პარკის ტერიტორიის შემოკავება (მასალები შემსყიდველთან შეთანხმებით).
2. შესასვლელი კარების მოწყობა გამსახურდიას ქუჩის მხრიდან და თამარ მეფის ქუჩიდან არსებულის ახალით შეცვლა.
3. პარკში არსებული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია.
4. პარკის შედა ტერიტორიის კეთილმოწყობა (გაზონების, სავალი ნაწილების და გამწვანების ზოლების დაგეგმარება და განაშენიანება).
5. პარკის ტერიტორიაზე დეკორატიული განათების მოწყობა.
6. მოსასვენებელი ადგილების, სკამების და სანაგვე ურნების მოწყობა.
7. პარკის ტერიტორიაზე კვების ობიექტისთვის ადგილის დაგეგმვა და მომზადება.
8. პარკთან მისასვლელი გზის დეკორატიული ფილებით მოწყობა.
9. პარკის მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარება კეთილმოწყობის მიზნით.
10. საბავშვო ატრაქციონების მოსაწყობად ადგილის დაგეგმარება და ატრაქციონის ტიპის შერჩევა.
11. წყლის დასალევი სოკოს მოწყობა.

ჩამოთვლილი თითოეული ობიექტის დაპროექტება და გაფასება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის და შესაბამისი სამსახურის უშუალო ზედამხედველობით.

II. ქ. წალენჯიხის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობა.

1. მიწის ზედა და მიწის ქვეშა წყალსაწრეტი არხის კომუნიკაციების მოწყობა თამარ მეფის ქუჩის გადაკვეთით და არსებულ არხში ჩართვით.
2. სკვერის მთელი ტერიტორიის შემოკავება დეკორატიული ღობით.
3. სასეირნო ბილიკების მოწყობა დეკორატიული ფილებით.
4. დეკორატიული სკამების და სანაგვე ურნების მოწყობა.
5. სკვერის ტერიტორიაზე არსებული უვარგისი ხეების გამოხშირვა და ახალი ნარგავებით შევსება.
6. სკვერის ტერიტორიაზე კვების ობიექტისთვის ადგილის დაგეგმვა და მომზადება.
7. სკვერში არსებული შადრევანის რეკონსტრუქცია.
8. შიდა და გარე ბორდიურების მოწყობა.
9. დეკორატიული განათების მოწყობა.
10. გაზონების მოწყობა.
11. სკვერის პერიმეტრზე დეკორატიული ფილების მოწყობა.
12. სკვერის ტერიტორიაზე მდებარე ჭადრაკის სახლის სრული რეაბილიტაცია
13. წყლის დასალევი სოკოს მოწყობა.

ჩამოთვლილი თითოეული ობიექტის დაპროექტება და გაფასება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის და შესაბამისი სამსახურის უშუალო ზედამხედველობით.

III. ქ. წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე საავტომობილო ხიდამდე გზის ორივე მხარეს არსებული სავალი ტროტუარების, ბორდიურების, დეკორატიული განათების და გამწვანების მოწყობა.

IV. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სოფლის მეურნეოების სამმართველოს შენობის გადახურვა.

V. 6 ადგილიანი საპირფარეშოს პროექტის მომზადება.

VI. საყოფაცოვრებო მომსახურების სახლი „ბჟალარას“ წინ მდებარე შადრევანის რეკონსტრუქცია

ჩამოთვლილი თითოეული ობიექტის დაპროექტება და გაფასება განხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის და შესაბამისი სამსახურის უშუალო ზედამხედველობით.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30000(ოცდაათიათასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

2. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

2.1 საკონკურსო წინადადებების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი) საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

2,2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი.

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენთიფიკაციო ნომერი

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენთიფიკაციო ნომერი

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი

2.3. დარღვევით გაცემული დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

3. კონკურსი ჩატარდება -2011 წლის 26 დეკემბერს 15 საათზე

4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისთვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

5. საკონკურსო წინადადება კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე დალუქული პაკეტით, კონკურსში მონაწილეობაზე განცხადებასთან ერთად 2011, წლის 26 დეკემბერს 14 საათამდე შემდეგ მისამართზე- ქ. წალენჯიხა სალიას ქ. N 5 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა II სართული.

6. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა უნდა იყოს საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან არანაკლებ 50 კალენდარული დღე

7. პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებს და ინფორმაციას“

7.1. ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადების შესახებ

7.2. ინფორმაცია ანალოგიური ხასიათის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის გამოცდილების შესახებ, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება–ჩაბარების აქტები ბოლო 3 წლის პერიოდის.
8. კონკურსანტმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინოს ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად
9. საკონკურსო წინადადება უნდა იყოს ხელმოწერილი კონკურსანტის მიერ. ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.
10. შერჩევისას უპირატესობა ენიჭება დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადებას.
11. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საკონკურსო კომისიის წევრის დავით სოსელიას ტელეფონზე 577 95 92 48.
ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნები

1. კონკურსანტის საკონკურსო წინადადება ტექნიკური მოთხოვნების სახით უნდა შეიცავდეს დანართი #1 - ის სრულყოფილად შევსებულ ფორმას

დანართი 1

1.	კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2.	ხელმძღვანელი პირის სახელი და გვარი	
3.	კონკურსანტის იურიდიული მისამართი	
4.	კონკურსანტის ფაქტიური მისამართი	
5.	საინდიფიკაციო კოდი	
6.	ტელეფონის ნომერი	
7.	ელექტრონული მისამართი	
8.	მომსახურე ბანკი	
9.	ბანკის კოდი	
10.	ანგარიშის ნომერი	
11.	შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასი	

ორგანიზაციის დასახელება ხელისმოწერა ბ. ა.

პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისთვის.

- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

(აღნიშნული დოკუმენტი გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების დღის შემდეგ)

შენიშვნა:
1, საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილი 7.1. და 7.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, ხელმოწერილი და ბეჭედ დაუსმელი დოკუმენტი არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.

2, პრენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

1.2. ფასების ცხრილი

№	შესყიდვის ობიექტი	მიწოდების ვადა
I	**ქ. წალენჯიხის ცენტრში მდებარე ტერენტი გრანელის სახელობის პარკის კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია**	
1.	პარკის ტერიტორიის შემოკავება (მასალები შემსყიდველთან შეთანხმებით).	
2.	შესასვლელი კარების მოწყობა გამსახურდიას ქუჩის მხრიდან და თამარ მეფის ქუჩიდან არსებულის ახალით შეცვლა.	
3.	პარკში არსებული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია.	
4.	პარკის შედა ტერიტორიის კეთილმოწყობა (გაზონების, სავალი ნაწილების და გამწვანების ზოლების დაგეგმარება და განაშენიანება).	
5.	პარკის ტერიტორიაზე დეკორატიული განათების მოწყობა.	
6.	მოსასვენებელი ადგილების, სკამების და სანაგვე ურნების მოწყობა.	
7.	პარკის ტერიტორიაზე კვების ობიექტისთვის ადგილის დაგეგმვა და მომზადება.	
8.	პარკთან მისასვლელი გზის დეკორატიული ფილებით მოწყობა.	
9.	პარკის მიმდებარე ტერიტორიის დაგეგმარება კეთილმოწყობის მიზნით.	
10.	საბავშვო ატრაქციონების მოსაწყობად ადგილის დაგეგმარება და ატრაქციონის ტიპის შერჩევა.	
11.	წყლის დასალევი სოკოს მოწყობა.	
II.	**ქ. წალენჯიხის ცენტრში არსებული სკვერის კეთილმოწყობა.**	
1.	მიწის ზედა და მიწის ქვეშა წყალსაწრეტი არხის კომუნიკაციების მოწყობა თამარ მეფის ქუჩის გადაკვეთით ; არსებულ არხში ჩართვით.	
2.	სკვერის მთელი ტერიტორიის შემოკავება დეკორატიული ღობით.	
3.	სასეირნო ბილიკების მოწყობა დეკორატიული ფილებით.	
4.	დეკორატიული სკამების და სანაგვე ურნების მოწყობა.	
5.	სკვერის ტერიტორიაზე არსებული უვარგისი ხეების გამოხშირვა და ახალი ნარგავებით შევსება.	
6.	სკვერის ტერიტორიაზე კვების ობიექტისთვის ადგილის დაგეგმვა და მომზადება.	
7.	სკვერში არსებული შადრევანის რეკონსტრუქცია.	
8.	შიდა და გარე ბორდიურების მოწყობა.	
9.	დეკორატიული განათების მოწყობა.	

10.	გაზონების მოწყობა.	
11.	სკვერის პერიმეტრზე დეკორატიული ფილების მოწყობა.	
12.	სკვერის ტერიტორიაზე მდებარე ჭადრაკის სახლის სრული რეაბილიტაცია	
13.	წყლის დასალევი სოკოს მოწყობა	
III.	**ქ. წალენჯიხაში სალიას ქუჩაზე საავტომობილო ხიდამდე გზის ორივე მხარეს არსებული სავალი ტროტუარების, ბორდიურების, დეკორატიული განათების და გამწვანების მოწყობა.**	
IV.	**გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სოფლის მეურნეოების სამმართველოს შენობის გადახურვა.**	
V.	**6 ადგილიანი საპირფარეშოს პროექტის მომზადება.**	
VI.	**საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „ბჟალარას“ წინ მდებარე შადრევანის რეკონსტრუქცია**	
	ს უ ლ ჯ ა მ ი	

ორგანიზაციის დასახელება

ხელმძღვანელის ხელისმოწერა

ბ. ა.

საპროექტო - სახაარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია თითოეული ობიექტისათვის უნდა მოიცავდეს:

1. განმარტებით ბარათს
2. შესაბამის სახაარჯთააღრიცხვო ღირებულებას
3. შესაბამისს ნახაზებს და სპეციფიკაციებს
4. სამუშაოების შესრულების გეგმა–გრაფიკი.

საპროექტო - სახაარჯთააღრიცხვო დოკუმენტაცია გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის განმავლობაში ეტაპობრივად (პრიორიტეტი დადგინდება შემსყიდველის მოთხოვნის გათვალისწინებით) თითო ეგზემპლარად, როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული ვერსია.

შენიშვნა: საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დაგეგმარება შეთანხმებული უნდა იქნეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურთან.

•გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტების განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მოხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება)

• საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადაა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.

კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 3(სამი) დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

პროექტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო მომსახურეობის შესყიდვა

ქ. წალენჯიხა ....., 2012 წელი

ერთის მხრივ, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის (მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ №5 საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ციმინტიას სახით (შემდგომში –შემსყიდველი) და მეორეს მხრივ ---------- სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო მომსახურეობის შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. ----------.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება ---------- (----------) ლარი.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის ----------

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებენ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციის და მშენებლობის სამსახური.

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მომსახურეობის შესრულების- აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

9 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

9.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში ეტაპობრივად.

9.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

9.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული მომსახურეობის მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში..

10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

ა. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ბ. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,25%.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის ---------- 2012 წლის ----------.

13 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14 ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

14.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

14.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16 სხვა პირობები

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, , რომელსაც აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

17 ხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	
ს. კოდი 242739248	
მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5. III სართული. „ლიბერთი ბანკის“ წალენჯიხის ფილიალი	
ბ. კოდი LBRTGE22	
ა/ა GE22LB0120179460264000	
ტელ: 577 56 47 47	
_____	_____
კახაბერ ციმინტია	